
სამი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები ბაქოში შეიკრიბებიან



აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მორიგი შეხვედრა მომდევნო წელს ბაქოში ჩატარდება. ამის შესახებ თურქეთის ელჩმა საქართველოში ისმაილ ალპერ ჯოშგუნმა განაცხადა.
მისი თქმით, სამმხრივი შეხვედრა, სავარაუდოდ, იანვარში ჩატარდება.